



საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება

თბილისი



04/05/2020



MES 4 20 00361058

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირებისას მოსაზრებების წარდგენის, განხილვის და გადაწყვეტილების მიღების წესის და ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 მაისის N582 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2020 წლის 10 აპრილის N334647 მოხსენებითი ბარათისა და სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის 2020 წლის 01 მაისის N357496 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირებისას მოსაზრებების წარდგენის, განხილვის და გადაწყვეტილების მიღების წესის და ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 მაისის N582 ბრძანებაში და ბრძანების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირებისას განმცხადებელთა საჩივრის წარდგენის, განხილვის და გადაწყვეტილების მიღების წესის და ვადების დამტკიცების შესახებ“;

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების სასკოლო სახელმძღვანელოებზე/სერიებზე გამოცხადებული გრიფირებისას წარდგენილ გრიფირების განაცხადებზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე განმცხადებელთა საჩივრის წარდგენის უფლების უზრუნველყოფის მიზნით, დამტკიცდეს ზოგადსაგანმანათლებლო


დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირებისას განმცხადებელთა საჩივრის წარდგენის, განხილვის და გადაწყვეტილების მიღების წესი და ვადები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.“.

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირებისას განმცხადებელთა საჩივრის წარდგენის, განხილვის და გადაწყვეტილების მიღების წესი და ვადები“ ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის მინისტრი
მიხეილ ჩხენკელი



ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირებისას – განმცხადებელთა საჩივრის წარდგენის, განხილვის და გადაწყვეტილების მიღების წესი და ვადები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირებისას – განმცხადებელთა საჩივრის წარდგენის, განხილვის და გადაწყვეტილების მიღების წესი და ვადები“ (შემდეგში - წესი) განსაზღვრავს განმცხადებელთა საჩივრის მიღებისა და განხილვის მიზნით მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი დროებითი კომისიის (შემდეგში - კომისია) სტრუქტურას, მუშაობის წესს, განმცხადებლის საჩივრის წარდგენისა და გადაწყვეტილების მიღების ვადებს.

მუხლი 2. კომისიის საქმიანობის მიზანი

1. კომისიის საქმიანობის მიზანია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოებზე/სერიებზე (შემდგომში - სახელმძღვანელო/სერია) გამოცხადებული გრიფირებისას წარდგენილ გრიფირების განაცხადებზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის (შემდეგში - მინისტრი) მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, შინაარსობრივი და ტექნიკური რეცენზირების თითოეული ეტაპის დასრულების შემდეგ, თითოეულ რეცენზიასთან დაკავშირებით განმცხადებლის მიერ რეცენზიის გაცნობის შემდეგ, საჩივრის წარდგენის უფლების უზრუნველყოფა, საჩივრის მიღება, განხილვა და მათზე გადაწყვეტილების მიღება.
2. კომისია თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და ამ წესით.

მუხლი 3. კომისიის სტრუქტურა

1. კომისიის შემადგენლობა მტკიცდება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
2. კომისია შედგება კომისიის თავმჯდომარის, კომისიის თავმჯდომარის მოადგილის და კომისიის სხვა წევრებისაგან. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.
3. კომისიასთან არსებობს კომისიის სამდივნო, რომლის წევრი/წევრები არ არიან კომისიის წევრები და არა აქვთ ხმის უფლება.
4. განმცხადებლის საჩივრის განხილვაში, კომისიის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია ჩართულ იქნენ შესაბამისი რეცენზენტი/რეცენზენტები ან/და შესაბამისი საგნის/დარგის დამოუკიდებელი სპეციალისტები. აღნიშნული პირები არ მონაწილეობენ კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებაში და მათ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს აქვს სარეკომენდაციო ხასიათი.

მუხლი 4. კომისიის მუშაობის წესი

1. ელექტრონულ სისტემაში განმცხადებელთა მიერ წარმოდგენილი საჩივრის მიღებას, დახარისხებას და წინამდებარე წესის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას ახორციელებს კომისიის სამდივნო.
2. კომისია იკრიბება სხდომებზე, რომლის ორგანიზებას (დღის წესრიგის შედგენა, კომისიის წევრთა და სხვა პირთა მოწვევა და ა.შ.) ახდენს კომისიის სამდივნო. სხდომაზე კომისიის წევრთა მონაწილეობა შესაძლებელია, როგორც ფიზიკური დასწრებით, ასევე, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.
3. კომისიას წარმოადგენს და სხდომებს უძღვება კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – კომისიის თავმჯდომარის მოადგილე. კომისიის თავმჯდომარისა და მისი მოადგილის ერთდროულად არყოფნის შემთხვევაში, სხდომას თავმჯდომარეობს სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა მიერ შერჩეული ერთ-ერთი წევრი.
4. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი, კომისიის სხდომაზე დამსწრე პირთა აღრიცხვას უზრუნველყოფს კომისიის სამდივნო.
5. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით.
6. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადაწყვეტია კომისიის სხდომის თავმჯდომარის ხმა. განსხვავებული მოსაზრება დაერთვება ოქმს.
7. კომისიის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებები ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით, არაუგვიანეს გადაწყვეტილების მიღების მეორე დღისა, და ძალაში შედის სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრის მიერ მისი ხელმოწერიდან.
8. კომისიის სხდომის ოქმში სხდომის მიმდინარეობა შესაძლებელია აისახოს წერილობით და/ან ელექტრონული ფორმით, რომლის შედგენაზე პასუხისმგებელია კომისიის სამდივნო.
9. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება დაინტერესებული პირებისთვის გაცნობისა და გრიფის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში გასათვალისწინებლად, კომისიის სამდივნოს მიერ აისახება ელექტრონულ სისტემაში.
10. კომისიის თავმჯდომარის/თავმჯდომარის მოადგილის მიერ მიცემული დავალებებისა და/ან კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას უზრუნველყოფს კომისიის სამდივნო.

მუხლი 5. კომისიის წევრთა ინტერესთა კონფლიქტი

1. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, აკრძალულია რეცენზენტი/განმცხადებელი/ავტორი/საავტორო უფლების მფლობელი იყვნენ კომისიის წევრები და/ან საგნის/დარგის დამოუკიდებელი სპეციალისტები ან მათი ნათესავები.
2. ამ მუხლის მიზნებისათვის ნათესავად ჩაითვლება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელმძღვანელოს/სერიის გრიფირების წესის დამტკიცების შესახებ“

მინისტრის 2017 წლის 16 თებერვლის N28/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის (შემდეგში - გრიფირების წესი) მე-3 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირები.

3. ინტერესთა კონფლიქტის აღმოჩენისა ან წარმოქმნისას მხარეები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ განაცხადონ ამის შესახებ კომისიისათვის წერილობითი მიმართვის გზით. ინტერესთა კონფლიქტის არსებობისას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და გრიფირების წესის შესაბამისად მინისტრი უფლებამოსილია მიიღოს კომისიის წევრის აცილების გადაწყვეტილება.

მუხლი 6. განმცხადებელთა მიერ საჩივრის წარდგენა

1. განმცხადებელი უფლებამოსილია რეცენზიის გაცნობის შემდეგ, თითოეულ რეცენზიასთან დაკავშირებით, კომისიას წარუდგინოს თავისი დასაბუთებული საჩივარი, რომელიც შეიძლება შეეხებოდეს ერთ ან რამდენიმე კრიტერიუმში/ინდიკატორში საგნობრივი ჯგუფის/რეცენზენტის (იმ შემთხვევაში თუ არ არსებობს საგნობრივი ჯგუფი) მიერ განხორციელებულ შეფასებას/დასაბუთებას/ რეკომენდაციას/მითითებას.

2. განმცხადებლის მიერ საჩივრის წარდგენა ხორციელდება მხოლოდ ელექტრონული სისტემის (www.grifireba.emis.ge) მეშვეობით.

3. რეცენზიაზე საჩივრის წარდგენა შესაძლებელია იმ შემთხვევაში თუ:

ა) განმცხადებელი არ ეთანხმება რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის/რეცენზენტის (იმ შემთხვევაში თუ არ არსებობს საგნობრივი ჯგუფი) მიერ განხორციელებულ შეფასებას /დასაბუთებას/რეკომენდაციას/მითითებას;

ბ) განმცხადებელი ნაწილობრივ ეთანხმება რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის/რეცენზენტის (იმ შემთხვევაში თუ არ არსებობს საგნობრივი ჯგუფი) მიერ გაცემულ რეკომენდაციას/მითითებას/დასაბუთებას;

გ) განმცხადებელი არ ეთანხმება რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის/რეცენზენტის (იმ შემთხვევაში თუ არ არსებობს საგნობრივი ჯგუფი) რეცენზიას, რომ მაკეტი არ არის ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციის ავთენტური.

4. განმცხადებელი ვალდებულია რეცენზიის გაცნობის შემდეგ, ამავე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილ ვადაში შეფასებაზე/დასაბუთებაზე/რეკომენდაციაზე/მითითებაზე ელექტრონული სისტემის მეშვეობით, თითოეულ მათგანზე განახორციელოს შესაბამისი მონიშვნა:

ა) „ვეთანხმები“ - როდესაც განმცხადებელი სრულად ეთანხმება საგნობრივი ჯგუფის/რეცენზენტის (იმ შემთხვევაში თუ არ არსებობს საგნობრივი ჯგუფი) მიერ გაცემულ შეფასებას/დასაბუთებას/რეკომენდაციას/მითითებას, ხოლო რეკომენდაციის/მითითების არსებობის შემთხვევაში, საგნობრივი ჯგუფის/რეცენზენტის (იმ შემთხვევაში თუ არ არსებობს საგნობრივი ჯგუფი) მიერ დადგენილ ვადაში განახორციელებს მაკეტის შესაბამის კორექტურასა და ხელახალ ატვირთვას;

ბ) „ნაწილობრივ ვეთანხმები“ - როდესაც განმცხადებელი ნაწილობრივ ეთანხმება საგნობრივი ჯგუფის/რეცენზენტის (იმ შემთხვევაში თუ არ არსებობს საგნობრივი ჯგუფი) მიერ გაცემულ

რეკომენდაციას/მითითებას/დასაბუთებას, შესაბამისად, საგნობრივი ჯგუფის/რეცენზენტის (იმ შემთხვევაში თუ არ არსებობს საგნობრივი ჯგუფი) მიერ დადგენილ ვადაში განახორციელებს მაკეტის შესაბამის კორექტურასა და ხელახალ ატვირთვას (რეკომენდაცია/მითითების არსებობის შემთხვევაში), ამასთან იმ ნაწილში, სადაც არ ეთანხმება საგნობრივი ჯგუფის/რეცენზენტის (იმ შემთხვევაში თუ არ არსებობს საგნობრივი ჯგუფი) მიერ გაცემულ რეკომენდაციას/მითითებას/დასაბუთებას წინამდებარე წესით განსაზღვრულ ვადაში ელექტრონული სისტემის მეშვეობით წარადგენს საჩივარს;

გ) „არ ვეთანხმები“- როდესაც განმცხადებელი არ ეთანხმება საგნობრივი ჯგუფის/რეცენზენტის (იმ შემთხვევაში თუ არ არსებობს საგნობრივი ჯგუფი) მიერ გაცემულ შეფასებას/დასაბუთებას/რეკომენდაციას/მითითებას და წარადგენს საჩივარს.

5. განმცხადებელი უფლებამოსილია ამ მუხლის მე-3 პუნქტის:

ა) „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში კომისიას მიმართოს შინაარსობრივი რეცენზიის გაცნობიდან 8 კალენდარული დღის ვადაში, ტექნიკური რეცენზიის გაცნობიდან 4 კალენდარული დღის ვადაში;

ბ) „გ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში კი - ავტენტურობის თაობაზე შინაარსობრივი ან/და ტექნიკური რეცენზიის გაცნობიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი ვადის გაშვების შემთხვევაში, განმცხადებელი კარგავს საჩივრის წარდგენის უფლებას და საგნობრივი ჯგუფის/რეცენზენტის (იმ შემთხვევაში თუ არ არსებობს საგნობრივი ჯგუფი) მიერ გაცემული რეცენზია სავალდებულოა შესასრულებლად.

7. საჩივარი წარდგენილი უნდა იქნეს ანონიმურობის პრინციპისა და შემდეგი რეკვიზიტების დაცვით, პრინციპით ერთი განაცხადი (ID) - ერთი საჩივარი:

ა) იმ დაწესებულების დასახელება, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი;

ბ) განაცხადის ნომერი (ID);

გ) კლასი/კლასები;

დ) საგნის დასახელება;

ე) კრიტერიუმი (ინდიკატორი) /მოთხოვნა (ნომრის მითითებით), რომელზეც წარდგენილია საჩივარი;

ვ) დასაბუთება.

8. განმცხადებელმა საჩივრის წარდგენისას უნდა დაასაბუთოს კონკრეტულად რა ნაწილში არ ეთანხმება საგნობრივი ჯგუფის/რეცენზენტის (იმ შემთხვევაში თუ არ არსებობს საგნობრივი ჯგუფი) მიერ განხორციელებულ შეფასებას/დასაბუთებას/რეკომენდაციას/მითითებას.

მუხლი 7. საჩივრის განხილვის, გადაწყვეტილების მიღების წესი და ვადები

1. კომისიის მიერ საჩივრის განხილვა წარმოებს რეცენზენტისა და განმცხადებლის ვინაობის კონფიდენციალურობის დაცვით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც:

ა) განიხილება სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტში ანონიმურობის დარღვევის საკითხი;

ბ) კომისიის მიერ მიღებულია გადაწყვეტილება განხილვის პროცესში შესაბამისი რეცენზენტის/რეცენზენტების ჩართვის შესახებ.

2. კომისია, თითოეულ გასაჩივრებულ კრიტერიუმთან/ინდიკატორთან მიმართებით უფლებამოსილია მიიღოს შემდეგი სახის გადაწყვეტილებებიდან ერთ-ერთი:

ა) უარი თქვას საჩივრის წარმოებაში მიღებაზე, როდესაც კომისიის სამდივნოს მიერ საჩივრის შემოწმებისას დადგინდება, რომ მისი ფორმა არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს;

ბ) მიიღოს საჩივარი წარმოებაში და განხილვის შედეგად შესაბამისი დასაბუთების დართვით:

ბ.ა) უცვლელი დატოვოს საგნობრივი ჯგუფის/რეცენზენტის მიერ გაცემული რეკომენდაცია/მითითება/დასაბუთება და თითოეული/ამ რეცენზენტის მიერ განხორციელებული შეფასება (ქულობრივი/სიტყვიერი), რა დროსაც განმცხადებელს განუსაზღვრავს მაკეტის კორექტურისათვის შესაბამის ვადას, თუ რეცენზიაში გაცემულია რეკომენდაცია/მითითება;

ბ.ბ) შეცვალოს საგნობრივი ჯგუფის/რეცენზენტის მიერ გაცემული რეკომენდაცია/მითითება/დასაბუთება და/ან შეცვალოს და/ან უცვლელი დატოვოს თითოეული/ამ რეცენზენტის მიერ განხორციელებული შეფასება (ქულობრივი/სიტყვიერი). შეფასების (ქულობრივი/სიტყვიერი) ცვლილებიდან გამომდინარე, გასცეს რეკომენდაცია/მითითება და განმცხადებელს განუსაზღვროს მაკეტის კორექტურისათვის შესაბამისი ვადა, ან გააუქმოს საგნობრივი ჯგუფის/რეცენზენტის მიერ გაცემული რეკომენდაცია/მითითება; იმ შემთხვევაში თუ შეფასების ცვლილების მიუხედავად, სახელმძღვანელოს/სერიის მაკეტი ვერ აკმაყოფილებს რეცენზირების პირველი ეტაპის გადასალახად დადგენილ მოთხოვნებს, კომისია გასაჩივრებული კრიტერიუმთან მიმართებით არ გასცემს რეკომენდაციას/მითითებას;

ბ.გ) მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, უცვლელი დატოვოს/შეცვალოს/გააუქმოს საგნობრივი ჯგუფის/რეცენზენტის მიერ გაცემული რეკომენდაციის/მითითების/დასაბუთების ის ნაწილი, რომელსაც არ ეთანხმება საჩივრის წარმდგენი და/ან შეცვალოს და/ან უცვლელი დატოვოს თითოეული/ამ რეცენზენტის მიერ განხორციელებული შეფასება (ქულობრივი/სიტყვიერი). საგნობრივი ჯგუფის/რეცენზენტის მიერ გაცემული რეკომენდაციის/მითითების/დასაბუთების შესაბამისი ნაწილის უცვლელად დატოვების/შეცვლის შემთხვევაში განმცხადებელს განუსაზღვროს მაკეტის კორექტურისათვის შესაბამისი ვადა;

ბ.დ) შეცვალოს ან უცვლელად დატოვოს რეცენზენტთა საგნობრივი ჯგუფის/რეცენზენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მაკეტში განხორციელებული კორექტურის გაცემულ რეკომენდაციასთან/მითითებასთან ავთენტურობის თაობაზე. აღნიშნულ შემთხვევაში კომისია უფლებამოსილია შეცვალოს და/ან უცვლელი დატოვოს თითოეული/ამ რეცენზენტის მიერ განხორციელებული შეფასება (ქულობრივი/სიტყვიერი).

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე მაკეტის კორექტურისათვის განსაზღვრული ვადა არ უნდა აღემატებოდეს შინაარსობრივი კორექტურისთვის 30 კალენდარულ დღეს, ხოლო ტექნიკური კორექტურისთვის - 15 კალენდარულ დღეს.

4. კომისია მიღებულ საჩივრებზე გადაწყვეტილებას იღებს:

ა) მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, არაუგვიანეს:

ა.ა) შინაარსობრივ რეცენზიასთან დაკავშირებული საჩივრის წარდგენის ვადის დასრულებიდან 16 კალენდარული დღის ვადაში;

ა.ბ) ტექნიკურ რეცენზიასთან დაკავშირებული საჩივრის წარდგენის ვადის დასრულებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

ბ) მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში, არაუგვიანეს:

ბ.ა) შინაარსობრივ რეცენზიასთან დაკავშირებული საჩივრის წარდგენის ვადის დასრულებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში;

ბ.ბ) ტექნიკურ რეცენზიასთან დაკავშირებული საჩივრის წარდგენის ვადის დასრულებიდან 4 კალენდარული დღის ვადაში.

5. იმ შემთხვევაში, თუ საჩივარს თან ახლავს ზოგადი ხასიათის დასაბუთება, კომისია იღებს გადაწყვეტილებას მიღებული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

6. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება მისი ძალაში შესვლის დღესვე კომისიის სამდივნოს მიერ აისახება ელექტრონულ სისტემაში და ეცნობება საჩივრის წარმომდგენსა და შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის წევრებს/რეცენზენტს.

7. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაცნობად ჩაითვლება ელექტრონულ სისტემაში განმცხადებლისათვის მის ხელმისაწვდომად განთავსება.

8. თითოეული რეცენზენტი ვალდებულია კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გაითვალისწინოს მაკეტში განხორციელებული კორექტურის გაცემულ რეკომენდაციასთან/მითითებასთან ავთენტურობის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში და განახორციელოს შესაბამისი შეფასება დასაბუთების თანხლებით.

9. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რეცენზირების შედეგებთან ერთად, წარედგინება მინისტრს გრიფის მინიჭების ან გრიფის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მიზნით.